სსიპ - სამცხე-ჯავახეთის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

20/09/2024

MES 4 24 0001173902

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემების (მართვის სისტემა და პორტალი) საშუალებით დამუშავებული მონაცემების შენახვის ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის, „„დაწესებულებების საქმიანობის პროცესში შექმნილი ტიპობრივი მმართველობითი დოკუმენტების ნუსხის (მათი შენახვის ვადების მითითებით)“ დამტკიცების შესახებ “ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის #72 ბრძანების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში „უნივერსიტეტი“) სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემების: „სასწავლო პროცესების მართვის სისტემა“ და „moodle“-ის მეშვეობით დამუშავებული პერსონალური მონაცემების შენახვის ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:

1.1. „სასწავლო პროცესების მართვის სისტემაში“ შეწყვეტილი სტატუსის მქონე და კურსდამთავრებული პირების შესახებ მონაცემები, გარდა ფოტოსურათისა, შესაბამისი ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 7 (შვიდი) წლის შემდეგ - ელექტრონულად დაარქივდეს. დაარქივებული მონაცემები ხელმისაწვდომი აღარ იქნება სისტემის მომხმარებლებისათვის. დაარქივებულ მონაცემებზე წვდომა ექნება უნივერსიტეტის ხელმძღვანელის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ პირს/პირებს (სისტემის ადმინისტრატორს), კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ფოტოსურათი წაიშალოს მონაცემების დაარქივებისას.

1.2. არქივში:

ა) საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის დაფინანსებასთან და გადასახადთან დაკავშირებული ინფორმაცია შენახული იქნას 7 წლის ვადით;

ბ) სხვა დანარჩენი მონაცემები: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, სქესი, მოქალაქეობა, მისამართი (იურიდიული/ფაქტობრივი), საკონტაქტო ტელეფონი, ელ. ფოსტა, ატესტატის (დიპლომის) ნომერი, ჩარიცხვის ბრძანების ნომერი და თარიღი, ფაკულტეტი,

საგანმანათლებლო პროგრამის საფეხური, საგანმანათლებლო პროგრამა (მისანიჭებელი კვალიფიკაციის და კოდის მითითებით), ჩარიცხული პირის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის/კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ ინფორმაცია, მონაცემები გავლილი სასწავლო კურსებისა და სათანადო შეფასებების შესახებ, პროგრამის განმხორციელებელი პერსონალის შესახებ, ჩარიცხული პირის მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ მინიჭებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი და გაცემის თარიღი - შენახულ იქნეს 75 წლის ვადით.

1.3. „moodle“-ის მეშვეობით დამუშავებული პერსონალური მონაცემები სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემდეგ გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს ოთხი თვისა წაიშალოს.

2. ამ ბრძანების 1.2 პუნქტით დადგენილი ვადის გასვლის შემდგომ - მონაცემები წაიშალოს.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება გაეგზავნოს სასწავლო პროცესების მართვის განყოფილებას, ყველა ფაკულტეტს და განთავსდეს ვებ გვერდზე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე: ქ. ახალციხე კ. მებაღიშვილი ქ.N62.

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის

რექტორი ბერიძე მაკა